# COVID ვაქცინები - ვაქცინაციის გავლა

Février 2021

# როგორ ხდება ვაქცინაცია?




## სად შეიძლება ჩავიტარო ვაქცინაცია?

ვაქცინის მიღება შეგიძლიათ ვაქცინაციის ცენტრში ან მობილური გუნდის მეშვეობით.

დარეგისტრირდით თქვენს მახლობლად არსებულ ვაქცინაციის ცენტრში:



- ტელეფონით: **0 800 009 110** (ზარები უფასოა)



- ონლაინ რეჟიმში: www.**sante.fr**



- ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ თქვენი ექიმის, ფარმაცევტის ან მერიის სამსახურის მეშვეობით.



## პრაქტიკული ინფორმაცია

ვაქცინა უფასოა ყველასთვის.

შეინახეთ დოკუმენტი ვაქცინის სახელწოდებით (დარწმუნდით, რომ მიიღეთ იმავე ვაქცინის 2-ვე ინექცია).

თუ არ გაქვთ, მაინც შეგიძლიათ გაიკეთოთ ვაქცინა.



## ვაქცინის მიღებამდე

ვაქცინაციის ვიზიტის დროს პროფესიონალი დაადასტურებს, რომ ვაქცინა თქვენთვის შესაფერისია.




ისინი უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს და გამოგკითხავენ , რამდენად ეთანხმებით ვაქცინაციას: თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ დათანხმდეთ ან უარი თქვათ მასზე.

## ვაქცინა




იმისათვის, რომ სრულად იყოთ დაცული, თქვენ უნდა გაიკეთოთ ვაქცინის 2 ინექცია, რამდენიმე კვირის ინტერვალით.

## ვაქცინაციის შემდეგ



ვაქცინასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენები ძალიან იშვიათია. თუმცა ვაქცინის მიღებიდან 1 ან 2 დღის განმავლობაში შეიძლება იგრძნოთ ტკივილი მკლავში, გქონდეთ თავის ტკივილი ან სიცხე.

Santé publique France - 09 février 2021 - Réf. CW-3030-001-2101



**დამატებითი კითხვების შემთხვევაში,** მიმართეთ ჯანდაცვის წარმომადგენლებს, სოციალურ მუშაკებს, მერიას ან გადადით ბმულზე:vaccination-info-service.fr

VACCINATION INFO SERVICE.FR



**ვაქცინის მისაღებად დარეკეთ:**

# 0 800 009 110

(ზარები უფასოა)

ან გადადით შემდეგ მისამართზე: www.sante.fr

Santé.fr